

მ წ ყ ე მ ს ი

ო ზ ი ც ი ა ლ უ რ ი ნ ა წ ი ლ ი .

ადგილობრითი სასულიერო მთავრობის განკარგულებანი.

პირი.

ჩვენს საექსარხოსო განცეღარისა.

იმ ცნობებისა და საქმეებისაგან, რომელნიც შეეხებიან ჩემდამო ახლად რწმუნებულ საქართველოს ეპარქიის სამღვდლოებას და რომელნიც (საქმენი) წარმოდგენილ იქმნენ ჩემდამო, ხანს, რომ ბევრ სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურეთ თითქმის ყოველ წლობით უცვლიათ სამსახურის ადგილები; ხშირი შემთხვევა ყოფილა, რომ ეკლესიის რომელიმე მოსამსახურე პირი გადასულა ერთი სამრევლოდამ მგორეში, აქედგან, ცოტა ხნის შემდეგ, ისევ უწინდელს სამრევლოში დაბრუნებულა; უმსახურნია აქ ცოტა ხანს და მერე კიდევ ხელ-მეორედ მიუტოვებია ეს სამრევლო და სხვაგან გადასულა. სამსახურის ადგილის ასრე ხშირად გამოცვლა სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურე პირთათვის, რომელთაგან ბევრნი უიმისოდაც მეტად ღარიბნი არიან, საზარალოა ნიეთიერად; ამასთან ასრეთი ხშირი გადასელ-გადმოსელა ერთი სამრევლოდამ მგორეში არ არის სასურველი, რადგან იგი ბევრ დაბრკოლებას აძლევს როგორც თვით სამსახურს, აგრეთვე სამრევლოს. როდესაც სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურე პირნი მოკლე ხანს რჩებიან თავიანთ სამრევლოებში, მათ არ შეუძლიათ საკმაოდ გაიგონ და შეისწავლონ თავიანთი სამრევლოების სულიერი საჭიროებანი, აგრეთვე არც მრევლს შეუძლია შეიტყოს და ღირსეულად დააფასოს თავის ეკლესიის კრებულის რომელიმე წევრის სამსახური და ამიტომ პირველი ხშირად ეჭვის თვალით უცქერის კრებულს. ამისთანა მდგომარეობის დროს, რასაკვირველია, არ შეიძლება

ეკლესიის კრებულთა და სამრევლოთა შორის დამყარდეს სასურველი დამოკიდებულება და, როცა ამისთანა ცუდი ურთიერთობა არსებობს კრებულსა და სამრევლოს შორის, მაშინ არც კრებულსა აქვს ჯეროვანი და ზნეობითი გავლენა სამრევლოზე.

აგრეთვე შევნიშნეთ, რომ აქაური მხარის სამღვდლოება, როცა მას ეჭირება რაიმე თხოვნა მიართვას ეპარქიალურ მთავრობას, უსათუოდ ჩამოდის თბილისში შორეული მხარეებიდგან და შემდეგ რამდენიმე დღით რჩებიან ქალაქში და უცდიან თხოვნების შედეგს. ხშირად ამისთანა თხოვნები კანონით არ შეიძლება დაკმაყოფილებულ იქმნენ და ხან ამ თხოვნების განხილვა დროს ითხოვს და ამიტომ მთხოვნელნი უბრალოდ რჩებიან ქალაქში რამდენიმე დღე და ეწევიან უბრალო ხარჯსა. თხოვნების მიცემისათვის სრულებით საჭირო არ არის ეპარქიის ქალაქში ჩამოსვლა და რამდენიმე დღით აქ ცდა. ეკლესიის კრებულის რომელიმე პირის სამრევლოდამ რამდენიმე დღით გაშორება აბრკოლებს სამრევლოს, რომელსაც შეიძლება დასჭირდეს რომელიმე მღვდლომოქმედების აღსრულება. დიდის ხნობით სამრევლოს დატოვება არის ხოლმე ხშირად მიზეზი, რომ კრებულზე შეაქვსო ხოლმე საჩივრები ეპარქიის მთავრობასთან. ზემოდ აღნიშნულნი თხოვნები უფრო ადვილად შეიძლება გამოიგზავნონ ფოსტით, მაშინ საჭირო აღარ იქმნება თვით მთხოვნელები ჩამოვიდნენ ქალაქში და პირისპირ მისცენ თხოვნები და სამრევლოები კი დიდის ხნობით დასტოვონ უბატრონოდ.

ზემოდ აღნიშნული მიზეზებისა გამო ეკლესიის რომელიმე წევრისათვის ერთი სამრევლოდამ მგორე სამრევლოში ხშირი გადასვლა არც სასარგებლოა და არც სასურველი, აგრეთვე საჭირო არ არის, რომ კრებულის რომელიმე წევრი ქალაქში ჩამოვიდეს

თხოვნის მისაცემად და აქ უცადოს რამდენიმე დღით თხოვნის შედეგს, ამიტომ წინა დაუდებ ჩემდამო რწმუნებულ საქართველოს ეპარქიის სამღვდლოებს, რომ არ ითხოვოს ერთი სამრევლოდამ მეორეში გადასვლა, თუმცა ერთ ადგილზე არ უმასურნია ხუთი წელიწადი და თუ ადგილის გამოცვლას არ ითხოვს რაიმე უკიდურესი საქირიცხა. აგრეთვე სამღვდლოება ნუ მისცემს თავის თავს ხარჯს თბილისში ჩამოსვლით თხოვნების მისაცემად, რადგან ამ გვარი თხოვნების გამოგზავნა ადვილად შეიძლება ფოსტის საშუალებით.

ჩვენი საექსარხოსო კანცელარია აცნობებს ამ წინადადებას ეპარქიის სამღვდლოებს ბლაღოჩინების საშუალებით; ხოლო ბლაღოჩინები ვალდებული არიან თავის მხრით ჯეროვანად განუმარტონ ეს წინადადება მათდამი რწმუნებულ სამღვდლოებს. ამავე საგნის შესახებ ეცნობოს ადგილობრივი სასულიერო ყურნალის „მწყემსი“-ს რედაქციას დასაბუქდავად. 18 დებემბერს 1887 წ. № 41.

პალლადი არქიეპისკოპოსი ექსარხოსო საქართველოსა.



მართლის და კახეთის ეპარქიის სააღმწიქნოების საუწყებლად.

მის მხალ-ყოვლად უსამღვდლოესობის, საქართველოს ექსარხოსოს პალლადის განკარგულებით მომხაველი თთვის, თებერვლის 16 რიცხვისათვის მიწვეულნი არიან ქართლას და კახეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატები

ქალაქს თბილისში თფილისის სასულიერო მართლმადიდებელი სემინარიის შესახები საქმეებისა გამო.




მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოების კანცელარიაში.

მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოების კანცელარიაში მიღებულ იქმნა კასახეიდად წიგნი შემდეგის სათაურით: „ლოცვები, მცნებები, სიმეულო-სარწმუნოებისა და გამოკრებილნი საეკლესიო საკალობელნი.“ სიტყვებზე დასმულია ხმის ასამაღლებელი ნიშნები და ვეელა ლოცვები და საკალობელნი გადათარგმნილნი არიან რუსულს ენაზე.

წიგნის დამატებაში მოუვანილია საეკლესიო კალენდარი და მხევენებელი ვეელა კვირა დღეებში სამოციქულოის და სახარების წასაკითხავი თავებისა.

მეორე კასწორებული და დამატებული გამოცემა 1886 წ.

ფასი ვდით და კაკზავნით 25 კაპ.



მეცემსი

1883-1888

«მეცემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის სახუთშუკრს და ოცდაათ რიცხვებში.

გ ა ზ ე თ ი ს ო ა ს ი :

«მეცემსი»	«მეცემსი» რუსული გამოცემით
12 თვეით 5 მან.	12 თვეით 6 მან.
6 — 3 —	6 — 4 —

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ Квирилы, Въ редакцію „Мижемси“ (Пастыр).*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილი დასაბეჭდავად, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელმოწერილი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხანდის ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზე და წერილებიც დათარგმნით დაიბეჭდებიან.

ვინ არის დამნაშავე, რომ დღეს გვირგვინის კურთხევა ასე გაძნელებულია ზოგიერთ პირთათვის და რა საშუალებით შეიძლება ეს საქმე უფრო გაადვილდეს?

საიდუმლო ქორწინების შესრულება საეკლესიო და სამოქალაქო კანონების თანახმად ითხოვს ბევრს საბუთებს, ურომლებსოთ მღვდელს არ შეუძლია ამ საიდუმლოს შესრულება და თუ შეასრულა, ის ეძლევა პასუხის გებაში. სასიძოს და სასძლოს უნდა ჰქონდესთ მოწმობა, რომ ისინი სრულს ცნობიერობაზედ არიან, უთქვამსთ აღსარება და ზაარებულან; რომ ისინი არიან სრულ-წლოვანნი, უცოლო და უქმრო, რომ მათ შორის არავითარიმე ხორციელი და სულიერი ნათესაობა არ არის. მარდა ამ ცნობებისა ზოგიერთ შემთხვევაში მღვდელი ვალდებულია სასიძოს და სასძლოს მოსთხოვოს მთავრობის და მშობლების ნება-რთევაც. თუ რომელიმე ეს მოთხოვნილება არ შეასრულა მღვდელმა, ის, როგორც ზემოთაც ვსთქვით, ეძლევა პასუხის გებაში. მკირე სამრევლო-

ესში ამდენი საბუთების მოთხოვნა სრულებით საქირო არ არის, რადგან აღკილობითი ეკლესიის კრებული კარგად იცნობს თითქმის თავის სამრევლოის ყველა წევრს, ან შეუძლია ენდოს მეზობლების თავდებობას, მაგრამ რა ჰქნას იმ სოფლების, ან ქალაქების მღვდლებმა, სადაც უმეტესი ნაწილი მცხოვრებთა მოსულია შორეული ქვეყნიბიდან დარომელთაც ვერც მღვდელი იცნობს და ვერც მეზობლები? ამ შემთხვევაში აუცილებლად საქიროა მღვდელი და ენდოს წერილობითი საბუთებს, მაგრამ ეს წერილობითი საბუთები ხშირად ძნელი საშოვნია. ამ მიზეზებისა გამო სამწუხარო მდგომარეობაში ვარდება ხშირად მრევლის მღვდელი, რომელსაც შეხედებიან ხოლმე ჯვარის საწერად ისეთი პირნი, რომელთაც ეკლესიის კრებული ვერ იცნობს. ამისთანა უცნობმა პირებმა ყველა საქირო საბუთებიც რომ წარუდგინონ მღვდელს, ამ უკანასკნელს მანც შიში აქვს, რომ წარდგენილი საბუთები შემდგომი ყალბი არ გამოდგენ. ამ შემთხვევაში, მართალია, მღვდელს არასფერი უშავს, მაგრამ საქმის გათავებამდის მას თავისი დემარტება. ეს შიში არის მიზეზი, რომ მღვდლები ხშირად ერიდებიან სხვა სამრევლოდამ მოსული პირების ჯვარის წერას და განგებ სთხოვენ სასიძოს და სასძლოს ყველა საქირო

საბუთებს. ამითი მღვდლები თავის თავს იფარენ ყოველივე პასუხის გებისაგან, მაგრამ, ერთის მხრით, ქორწინებით შესაუღვლელონი უკმაყოფილონი რჩებიან მღვდელზე, ხოლო, მეორეს მხრით, ამისთანა ძნელად საშოვარი საბუთების მოთხოვა ამნელებს ეკლესიურ ჯვარის-წერას და ამრავლებს უკანონო წესით შეუღლების რიცხვს და ეკლესიური ქორწინების გარეშე სასიძოს და სასძლოს ცხოვრებას. ამ საგნის შესახებ აი რას ამბობს ერთი რუსული გაზეთი, «Киевское Слово»: «ქორწინებით შესაუღვლელონი ხშირად ხან ერთ მღვდელს მიადგებიან და ხან მეორეს და ეხვეწებიან მათ ჯვარის დაწერას, მაგრამ მღვდლები ხშირად ჯვარს არ სწერენ, რადგან სასიძოს ხშირად არა აქვს ხოლმე ყველა საბუთები, რომელნიც ითხოვებიან უკანასკნელისაგან თანახმად ეკლესიური და სამოქალაქო კანონებისა. ხშირად ქორწინებით შესაუღვლელოდ მომზადდებულნი, ამისთანა უარის შემდეგ, ან სულ თავს ანებებენ ჯვარის წერას და ან უერთდებიან ერთ-ერთმანერთს უკანონო შეუღლების წესით. რომელია ის საჭირო საბუთები, ურომლებსოთაც არ შეიძლება ჯვარის წერა? ჩვენ ვიცით, რომ ძიევის მცხოვრებთა ნახევარი ნაწილი მოსულია შორეული ქვეყნებიდან და კიევში ცხოვრებენ ბაშბორთებით, რომლებშიაც ყოველთვის სწვრია შემდეგი სიტყვები: უცოდლოა, ანუ ცოდლიანია, აგრეთვე ქალის ბაშბორთზე აწერია: ქალწულია, ანუ ქმრიანია. როცა მღვდელი მიიღებს ამ საბუთებს, რომელშიაც სწვრია: უცოდლოა, ხოლო მეორეში—ქალწულია, მაშინ შეუდგება სამ-გზითი გამოცხადებას ეკლესიაში. სამ გზითი გამოცხადებია შემდეგ ხელ-წერილს ართმევს თავ-დებებს და ბოლოს ასრულებს საიდუმლო ქორწინებას და დარწმუნებულია, რომ ის არავითარმე პასუხის გებაში არ მიეცემა. ამასთანავე მღვდლებს ანთავისუფლებს პასუხის გებიდან ის საბუთებიც, რომლებსაც აძლევენ ხოლმე ქორწინებით შესაუღვლელოთ იმ სამრევლოების კრებულნი, რომელთაც ეკუთვნიან სასიძო და სასძლო. ძიევის მცხოვრებლების ზოგიერთი ნაწილი პატარაობიდანვე არიან წამოყვანილნი თავიანთ სოფლებიდან და ქალაქებიდან და ამ ადგილების სამღვდლოება არც კი იცნობს მათ და არც საჭირო საბუთების მიცემა შეუძლია მათთვის, მაშასადამე ქორწინებით შესაუღვლელოთ ჯვარის წერა იქ, სადაც ისინი დროებით ცხოვრებენ, არ შეიძლება. თუ ასე გაუჭირვა სამღვდლოებამ საქმე მექორწინეთ, მაშინ ძვირად დაიწერენ ჯვარს ტაძრებში. ამის შედეგი ის იქნება, რომ ქუჩებში უფრო

ხშირად ენახეთ უპატრონოდ დაგდებულ ახლად დაბადებულ ყმაწვილებს. მზლანდელს დროში საჭიროა ვიზრუნოთ, რომ მექორწინეთ გაუადვილოთ ჯვარის წერა. მისაც უნდა მოატყუოს ეკლესიის კრებული და ისე დაიწეროს ჯვარი, ის რაიმე გზით მოახერხებს ამას. მაგრამ ამისთანა ბოროტი პირნი ასში ორი—სამი თუ მოიპოვება და მათი წაქოლობით რათ უნდა ეთქვასთ უარი პატიოსან პირთ, რომელთაც ზოგიერთი საჭირო საბუთება ვერ უშოვნიათ დროით».

არ შეიძლება, რომ ამ სიტყვებში ცოტაოდენი სიმატოლე არ იყოს. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ სასიძოს და სასძლოს ყველა საჭირო საბუთები აქვს, მაგრამ ჯვარის წერაზე მღვდელი მათ უარს ეუბნება ხშირად, რადგან სამ-გზითი გამოცხადება არ ყოფილა ეკლესიაში. წარდგენილი საბუთები საკმაო არიან, რომ ჯვარი დაწეროს მღვდელმა, მაგრამ ამ უკანასკნელი ფორმის აუსრულებლობის მიზეზით მღვდელი ხან უარს ეუბნება მექორწინეთ, ხან აგვიანებს საქმეს და ხან სრულებით შლის ქორწინებას. მექორწინენი და ტაძარში დამსწრე ხალხი ამტყუნებენ მღვდელს. მაგრამ საწყალი მღვდელი რა გასამტყუნარია? ამ შემთხვევაში ის იტყვევ კეთილ-სინდისიანად და წესიერად იცავს კანონის მოთხოვნილებას. თუმცა ადვილად შეიძლება, რომ მღვდელი სხვაზე ნაკლებ არ სწუხდეს, რომ უბრალო მიზეზისა გამო საქმე ასე ძნელდება, მაგრამ რა ჰქნას საწყალმა? კანონს ვერ გადახდება. რა უნდა ვიღონოთ, რომ ამ გაჭირებისაგან დავისნათ როგორც მღვდელი, ისე მექორწინენი? იგივე გაზეთი ამ კითხვის შესახებ იძლევა შემდეგ პასუხს:

«მართალია, ხშირად ეხედაეთ, რომ ზოგიერთი მღვდლები ისჯებიან იმისა გამო, რომ ისინი შეაცდინეს ჯვარის წერის დროს. მაგრამ, ჩვენის აზრით, ამ შემთხვევაში უნდა ისჯებოდეს ეკლესიის კრებული კი არა, არამედ ის პირნი, რომელთაც შეცდომაში შეიყვანეს ეკლესიის კრებული. ჩვენის ფიქრით, სრულებით საჭირო არ არის სხვა-და-სხვა საჭირო საბუთების მოთხოვნა; საჭიროა მხოლოდ შემოღებულ იქმნეს შემდეგი წესი: სამღვდლოებამ საიდუმლო ქორწინებებს წინ უნდა გაავებოს თავ-დებებს იმათი მნიშვნელობა და აუხსნას მათ, რომ, თუ შემდეგში გამოცხადდა რაიმე სიყალბე, ისინი სასიძოს და სასძლოსთან ერთად პასუხს აგებენ საეკლესიო და სამოქალაქო კანონთა წინაშე, შემდეგ იქვე, ჯვარის წერის წინად, დაფიცოს ისინი სახარებაზე და ჯვარზე, შემდეგ ხელი მოაწერიოს თვითოვეულს მათგანს».

საეკლესიო საბუთზე? თუ ასე მოეწყობა საქმე, მაშინ სასიძო და სასძლო წამოიყვანენ ისეთ თავდებთ, რომელნიც კარგად იცნობენ მათ. მხოლოდ ამისთანა პირნი დათანხმდებიან ფიცის მიღებაზე, რადგან ეცოდინებათ, თუ რა პასუხის გებაში მიეცემიან ისინი. ცრუ-ფიცსათვის; ამ შემთხვევაში მღვდელი თავისუფალი იქმნება ყოველივე პასუხის გებისაგან და არც არავის უარს ეტყვის ჯვარის წერაზე».

სხვა გაზეთებიც ეთანხმებიან ხსენებულს გაზეთს იმაში, რომ პასუხის გებაში მიცემულ უნდა იქმნენ თავდებნი და არა მღვდლები და შემდეგ დასძენენ, რომ სამღვდლოება სრულებით თავისუფალი უნდა იყოს ყოველივე საბუთების მოთხოვნისაგან. ხსენებული გაზეთები ამბობენ, რომ საჭირო ცნობების შეკრება სასიძოს და სასძლოს შესახებ სამოქალაქო და ადგილობრივი პოლიციის საქმეა. ადგილობრივი პოლიციის ყოველივე საშუალება აქვს, რომ მოსთხოვოს ყოველივე საჭირო ცნობები სასიძოს და სასძლოს შესახებ იმ ადგილების სამსახულო დაწესებულებათ, საიდანაც არიან სასიძო და სასძლო და, როცა მიღებულ იქმნება საჭირო ცნობა, მღვდელს შეუძლია ამ საბუთის ძალით დასწეროს ჯვარი. თუ ეს ზომები იქნა მიღებული, მაშინ ყალბი საბუთების შემწეობით ჯვარის-წერის რიცხვიც შემცირდება და მღვდლებიც განთავისუფლდებიან უბრალო საყვედურისაგან».

აგრეთვე მწავალნი ემდურებიან მღვდლებს, რომ ისინი ყველა უბრალო საბუთებზე ითხოვენ 80 კ. მარკებს. მაგრამ ამისთანა სამდურავი უსაფუძვლოა. ჭეველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ ამ მარკებისაგან მღვდლებს არავითარიმე სარგებლობა არ ეძლევათ. აქ მხოლოდ მღვდელი ასრულებს კანონის მოთხოვნილებას. მართი სიტყვით დრო არის, რომ ზემოთ აღნიშნულს საგანს ყურადღება მიექცეს. ამას ითხოვს ეხლანდელი დრო და ხალხის მდგომარეობა. მოუხერხებელია, რომ მეოთხე და მეხუთე საუკუნეში არსებული კანონებით იხელმძღვანელოს დღესაც მღვდელმა.

ქურონალ გაზეთების გამოცემის საქმის სიძნელე ჩვენში.

ახალი გაზეთის «მეურნე»-ს დაარსების გამო ჩვენ წავიკითხეთ გაზეთს «ივერია»-ში ერთი საყურადღებო მოწინავე სტატია, რომელც ცხადად და ამკარად გვიხატავს ქურონალ-გაზეთების გამოცემის საქმის სიძნელეს ჩვენში. მოგვყავს ზოგიერთი ადგილები ამ საყურადღებო სტატიიდან:

«ჩვენში სალიტერატურო მოღვაწეობა საერთოდ და ქურონალ-გაზეთობის საქმე საკუთრივ ჯერ კიდევ მსხვერპლს ითხოვს მოღვაწისაგან. ქურონალ-მეგაზეთე გარდა იმისა, რომ უწყალო შრომას უნდა დაეტყვევინოს, დრო და ქამი უნდა შესწიროს და თვალები გაიწყალოს აუარებელ ჯაფისაგან, ხშირად იძულებულია ყოველს ამას თავისი ცოტად თუ ბევრად შეძლებული ჯიბეც ზედ დააბერტყოს. ამ ნაირად ორგანიზაციე უნდა გაიჭიროს საქმე და გაიორკეცოს უამისოდაც ძვირე და რთული საქმე მწერლობისა და მოღვაწეობისა. ჩვენ აქ იმას აღარ ვახსენებთ, რომ კოლობუზების ბზუილსაც უნდა გაუძლოს და ქია-ღუების უკბილო კბენასაც».

«ამიტომაც, როცა ჩვენში კაცი ვინმე თავს იმეტებს და ქურონალ-გაზეთობას ხელსა ჰკიდებს, დიდის პატივის-ცემით სახსენებელია და უმადურობად მიგვაჩნია, თუ ვინმე გულის-ტკივილით და სიყვარულით არ მოექცა ამისთანა ცოტად თუ ბევრად თავგანწირულს კაცსა».

«რა თქმა უნდა, რომ ყველგან და ნამეტნავად ჩვენში ყოველ გვარს ქურონალ-გაზეთობას პირველ ხანებში ბევრი ნაკლი, ბევრი უძღულება და უღონობა ზედ-დაჰყვება ხოლმე, მაგრამ ამას-კი აღარავინ ჰკითხოვს, რა ძნელია რომ პირველ ხანშივე ახალი დაწყობილება, ნამეტნავად ახალი სალიტერატურო ორგანო მთელის საფესვით, მთელი სისრულით გამოგვიჩნდეს და დაგვენახოს. ამის არ-გამკითხველი, ამის არ-შეუგნებელი დიდის ჰკუის პატრონი არ უნდა იყოს, როგორც ის, რომელიც მოითხოვს, რომ დღევანდელ დღეს დარგულმა ვაზმა დღესვე, დარგვისავე უმალ, ყურძენი დაიხსას. ჩვენ გვეჩინია, რომ ამისთანა დამწუხრებელი კაცი არც კარგი გულისა უნდა იყოს, იმიტომ-რომ კარგი და პატიოსანი გული არ დაავალებს კაცს, შეუძლებელი შესძელიო და არც უსაყვედურებს, რატომ არ შესძელიო».

«შველას თავისი ღრო აქეს, თავისი ქამი, თავისი გარემოება და მიზეზი და ამავს თავზედ ვერაინ ვერ გადახტება, იმიტომ-რომ ამ ქვეყნიერობაზედ არაფერი ჰქნდება, არაფერი იბადება საესებით, სისრულით და დამთავრებით».

«ახალმა წელიწადმა მოგვივლინა ახალი მოძმე. დაიბადა «მეურნე». სახელი და დიდება იმ კაცს, ვინც ვე ფრიად საჭირო საქმე ითავა და არ შეუშინდა არც ჯაფას, არც ხარჯს, არც გულ-ღებობას ზოგიერთისას, რომელსაც წვენში წესად აქეს კიცხვა-კილვით პირველ ხანშივე გული მოუკლას საქმის დამწყებსა, ხალისი გაუფუტოს და უმადურობის წხამი გადაახხას წმიდა საქმეს. ჩვენ ამითი იმის თქმა არ გვინდა, რომ თუ რამ ნაკლი ექმნება ამ ახლს გაზეთს, ამაზედ ხმა არაინ ამოიღოს. «მეურნეს» რედაქცია იმოდენად მიხვედრილია, რომ თვითონაც არ იკადრისებს ეს მოსთხოვოს ჩვენს საზოგადოებას და ამასთან ძალიან კარკადაც იცის, რა ძნელი და რთული საქმე აქეს ნატვირთი და აქ ყველას გულის მოგება, ყოველისფრით სავსეობა ყოველად შეუძლებელია. ამიტომაც ყოველს კეთილ-მყოფელს ჩვენის ქვეყნისას ფართო გზა აქეს გახსნილი თავისი რჩევა ამცნოს რედაქციას, თავისი აზრი გაუხიაროს. ხოლო «მეურნის» რედაქციას სრული საბუთი და სრული სიმართლე აქეს, ყველას ჩვენ ანს მოსთხოვოს პატრიის-ცემით მოქცევა, გულ-წრფელი და გულ-მტკივნეული რჩევა და აზრი».

ამას ჩვენის მხრით უნდა დაუმატოთ, რომ ჩვენში ხშირად ხელის შეწყობისა და წაქეზების მაგივრად ხელს უშლიან და სიხალისეს უკარგვენ ჟურნალ-მეგაზეთეთა. ზოგიერთებს ჟურნალ-გაზეთების გამოცემის საქმე აღვრლად მიანჩიან და იმასაც ფიქრობენ, ვითომც გამოცემათა რედაქტორები მდიდრდებოდენ გაზეთის შემოსავლით!..

დაბა ბალდათილამ.

(ქუთაისის მაზრაში).

ლ. ბალდათილამ ხუთი ვერსის სიწორეზე მდებარეობს ერთი სოფელი, რომელსაც სახელად «წყალთა-შუა» ჰქვია. ამ სოფელში არის ერთი ქვიტკირის ძველი და ნახევრობით დანგრეული ეკლესია. ამ ეკლესიას დასავლეთის მხრით ჩამოუდის მდინარე წაბლარის-ხევი, ხოლო აღმოსავლეთით მდინარე ხანისწყალი; ეს ორი მდინარე ეკლესიის ქვემოთ უერთდებიან ერთი-ერთმანერთს. ამ ძველ ეკლესიას მშვენიერი ქვიტკირის გალავანი აქეს შემოვლცბული. საკუროხევის ცა დღესაც უნებლად არის დაცული. ეკლესიის ყველა კედელზე შიგნით მიშენებულია მშვენიერი ანგური. ეკლესიის სიმაღლე, თუმცა იგი დღეს ნახევრობით დანგრეულია, ხუთი საყენი იქნება; შიგნით ეკლესიას სიგრძე აქეს თექვსმეტი ადლი, ხოლო სიგანე ცხრა. ბალავანს გარდა ეკლესიას კიდევ სხვა კედელი ჰქონებია შემოვლცბული. ეს კედელი ეკლესიის კედლებიდან საყენ ნახევარზე ყოფილა დაშორებული. ამ მეორე კედლის ცა ეკლესიის კედლებზე ყოფილა მიშენებული. დასავლეთის, სამხრეთის და ჩრდილოეთის მხრით, საიდგანაც ეკლესიას აქეს შესავალი კარები, აღმართულია ოთხ-ოთხი სვეტი, რომელნიც მშვენიერის ხელოვნებით არიან მოჭრილნი და ზემოდგან ამ სვეტებს ბალდახინის მზგავსად ცა აქესთ შვეკრული. სამხრეთის კარებიდან ეკლესიის შესავალამდე მშვენიერი თლილი ქვის იატაკია გაკეთებული. ამ ეკლესიის ზოგიერთი სვეტები დღესაც უნებლად დგანან. ეკლესიის გარშემო იმდენი თლილი ქვა, ქვის სვეტები და მთელი ანგური ჰყრია, რომ ერთ კარგს ეკლესიას ეყოფა ასაშენებლად. მთელი ანგური უკანასკნელი სამი საყენი გამოვა. ეკლესიას ჩრდილოეთით აქეს მოდგმული სამწირელო, რომელშიაც 1860 წლამდე წიგნ-ლოცვა სრულდებოდა. ეკლესიის დასავლეთით ყოფილა აღშენებული სამრეკლო, რომლის ქვეშ ყოფილა სადგომი

ოთახი, ხოლო ზემოთ გაკეთებული ყოფილა რვა თითო საყენიანი სვეტი. მს სვეტები დღეს ყველანი მიწაზე ჰყრიან. როდის და ვის აღუშენებია ეს ეკლესია, არავინ იცის. წარწერებიც არ არიან მ-ს კედლებზე, რომ მათი შემწეობით კაცმა შეადგინოს რაიმე აზრი ამ ძველ ნაშთზე. დღეს მე მინდა მოუთხრა მკითხველს ის ზებირ-გადმოცემა, რომელიც ხშირად გამოგონია მოხუცებული კაცებისაგან ამ ეკლესიაზე. მოსწრებული კაცები ამბობენ, ვითომ ამ ეკლესიის დასაველეთის კარებზე, ყოფილიყო შემდეგი წარწერა ბერძნულს ენაზე: «ამ ეკლესიაში არის შენახული ბევრი ფული და როცა იგი დაიქცეს, ამ ფულებმა აღაშენოს». ის ადგილი კი, სადაც ფულები ყოფილა შენახული, ნაჩვენები არა ყოფილა. რადგან ბერძნული ენის მცოდნე არავინ ყოფილა იმ დროში, ეს წარწერა უყურადღებოდ ყოფილა დატოვებული. 1823 წელში დაბა ბაღდათში მდგარა რუსის ჯარი. შერთ დღეს რამდენიმე სალდათი წასულა ტყეში სოკოსაძებნელად. სალდათებს შემთხვევით გაუვლიათ ამ ეკლესიის მახლობლად და შიგ შესულან. სალდათებს დასაველეთის კარების ზემოთ შეუნიშნათ წარწერა. ამ სალდათებში ერთი ბერძნული ენის მცოდნე ყოფილა. მას წაუკითხავს ეს წარწერა, მაშინვე უკან დაბრუნებულა და კაპიტანისათვის შეუტყობინებია ეს ამბავი. კაპიტანს მაშინვე გამოუკითხავს, თუ ვის ეკუთვნოდა ის ადგილი, რომელზედაც ეს ძველი ეკლესია მდგარა. კაპიტანისათვის მოუხსენებიათ, რომ ეს ადგილი ეკუთვნის თავადს მაინოხროჩხვიძესო. მაშინ კაპიტანს შეუთვალა ჩხვიძისათვის: თქვენს ადგილში ერთი ნახევრობით დაქცეული ეკლესიაა, ამ ეკლესიაში ბევრი ანგურია და ნება მომეცით, რომ ანგური წამოვიღო, ფურნის გასაკეთებლად მინდაო. თავად ჩხვიძესაც ნება მიუცია კაპიტანისათვის, რომელსაც მაშინვე წაუყვანია რამდენიმე სალდათი, მისულა ეკლესიაზე და დაუწყო ფულების ძებნა. ბარედგან ყარაულები ჭყავდათ თურმე დაყენებული. ხალხის შესახედევად სალდათებს თურმე ცოტა-ოდენ ანგურსაც აზიდვინებდნენ ბინაზე. ჩვენებურ კაცს მაშინ რუსის ძალიან ეშინოდა და ვინ მი-

ეკარებოდათ მათ ეკლესიაში. დიდის ძებნის შემდეგ კაპიტანს მიუგნია ფული. რომელიც სამკვეთლოს ზემო კედელში ყოფილა შენახული. ამ კედელში დღესაც არის ცარიელი ადგილი დატოვებული, რომელიც სიძაღლით და სირგვლით ორი ადგილი იქნება. აუბათ ფულის ქურკული აქ იყო შედგმული. როგორც კი უნახავსთ ფულები, მაშინვე ანგურის ზიდვისათვის თავი დაუწებებიათ. თუმცა ეს მოთხრობა ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ არც სულ სიმართლეს უნდა იყოს მოკლებული. ეკლესიას შიგნით ძალათი ჩამოქცეული აქვს თლილი ქვები და ანგურები. შუაკის ხელოთ ეს ქვები და ანგურები არ ჩამოცივდებოდნენ და, თუ კაცმა ჩამოანგრია, კიდევ წაიღებდა და მოიხმარებდა. მაშ ეკლესიის დამამგურველს სულ სხვა რამე ჰქონებია სახეში და არა ქვის და ანგურის წაღება. მართალია, ზემოთ აღნიშნული წარწერა დღეს აღარა ჩანს, მაგრამ არ შეიძლება კაცმა ამ ეკლესიის ქვებზე რაიმე წარწერა ვერ ნახოს. ჩემის აზრით ურიგო არ იქნება ამ ძველ ნაშთს ყურადღება მიაქციოს არქეოლოგიურმა საზოგადოებამ.

მღვ. გ. მაჩიტაძე.



ფა. ნინას მართვალთ განაანათლებლის დღესასწაულობა თბილისში 14 იანვარს.

მისმა მალალ ყოვლად უსამიჯდევლოესობამ, საქართველოს ექსარქოსმა პალოადიმ 13 იანვარს დიდის აზბით შეასრულა ღამის თევით ცისკარი სიონის საკრებულო ტაძარში. სისკარზე აუარებელი მლოცველები დაესწრნენ. ცისკრის გათავების შემდეგ მათმა მეუფებამ მლოცველებს დაურეგა პატარა წიგნაკები, რომლებშიაც აღწერილი იყო წმიდა მოციქულთსწორის, საქართველოს განმანათლებელის ნინას ცხოვრება და ღვაწლი.

მეორე დღეს, ნინაობას, სიონის ტაძარში მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად უსამიჯდევლოესი ვის-

კოპოსი ალექსანდრე. წირვა იყო ქართულს ენაზე ქართული გალობით. წირვაზე დიდ-ძალი მლოცველები დაესწრნენ. წირვის გათავების შემდეგ მღვდელმა ლავითაშვილმა წარმოსთქვა დღის შესაფერი სიტყვა წმ. ნინოს ღვაწლზედ.

ამავე დღეს მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი პალლადი მიპატრუებული იყო საწირავად წმ. ნინოს ღვთათა სასწავლებლის სასახლის ეკლესიაში. წირვაზე დაესწრნენ: მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ ადიუტანტი ს. ა. შერემეტევი თავის მეუღლით, რომელიც ითვლება წმიდა ნინას ღვთათა სასწავლებლის მოსწავლე ქალთა დამხმარე საზოგადოების თავს მჯდომარედ და ამავე საზოგადოების თავს-მჯდომარის მოადგილე ქალბატონი მ. ა. შარვაშიძისა, ძავეკასიის სამასწავლებლო ოლქის მხრუნველი პ. პ. იანოცკი, გენერალ-ლეიტენანტი თავადი ზ. ბ. ჭავჭავაძე და სხვა წარჩინებულნი პირნი. წირვის და სამადლობელი პარაკლისის შესრულების შემდეგ ყველა დამსწრენი და ბერძენე მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პალლადი შებრძანდნენ სასწავლებლის სასადილო ოთახში, სადაც შეკრებილნი იყვნენ მოსწავლე ქალები, რომელთათვის აქ მომზადებული იყო სადილი, ხოლო სტუმრებისთვის—საუზმე. საუზმეზე მიერთვეს სადღეგრძელოები ხელმწიფე იმპერატორის, ხელმწიფე იმპერატრიცის, მემკვიდრის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის და დიდი მთავრინა ოლგა თეოდორეს ასულისა, მთელი სამეფუფეო სახლობისა და სხვ. ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოს შემდეგ მოწაფე ქალებმა იგალობეს ხალხური სიმღერა „ღმერთო დაიცევ ხელმწიფე“. სხვა სადღეგრძელოებზე მოწაფეების ხორო ჭვალობდა «მრავალ-ჟამიერს» მართულსა და რუსულს ენაზე. მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა პალლადიმ მადლობა გამოუცხადა მგალობლებს, კარგად გალობისათვის. წირვის და სამადლობელი პარაკლისის შესრულების შემდეგ მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა პალლადიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც მიმართული იყო ამ

სასწავლებლის ქველ-მომკმედი საზოგადოების წევრთა და მოსწავლე ქალთადმი.

ამ სიტყვას ჩვენ დაებეჭდავთ შემდეგ ნომერში.

ახალი ამბები და შენიშვნები.

აწმყო წელიწადი ბედნიერ წელიწადად უნდა ჩათვალოს თბილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოწაფეთათვის. ჩვენ გვაცნობებენ, რომ თბილისის სემინარიის მთავრობას წელს შეეძლება შესაფერი შემწეობა აღმოუჩინოს ამ სემინარიის ღარიბ მოწაფეებს, რომელთა სასარგებლოდ შეუწირავსთ ფულები შემდეგ პირთა: მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, საქართველოს ექსარხოსს პალლადის—175 მან., მათ ბრწყინვალეობას ძავეკასიის მთავარ-მართებელს თავადს ღონდუკოვ-ქორსაკოვს—400 მანეთი და მის ყოვლად უსამღვდელოესობას, იმერეთის ეპისკოპოს ბაბრიელს, რომელსაც შეუწირავს 120 მანეთი სემინარიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე «ძმობისათვის». ბარდა ამისა მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, საქართველოს ექსარხოსს პალლადის სემინარიის ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად გადაუცია 500 მანეთი იმ 2700 მანეთიდან, რომელიც დარჩენილა წაჩხვლს წელში ყველა ხარჯების გასტუმრების შემდეგ; ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ 1887 წ. სემინარიის სამმართველოს გადაუხდია სამი ათასი მანეთივალი, რომელიც წინა დროიდან ირიცხებოდა თურმე სემინარიაზე.

* *

რუსული გაზეთები გვაუწყებენ, რომ აკადემიკოსს მ. ა. ზიჩის უკვე დაუხატავს რამდენიმე სურათი წმ. მოციქულთ-სწორის ნინას ცხოვრებიდან. ამ სურათებზე უნდა მორთონ ამ წმიდანის სასაფლაო



ზოდბის მონასტერში, რომელიც იმყოფება სიღნაღის მაზრაში.

* *

უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის განკარგულებით, როგორც გვაუწყებს რუსული გაზეთი «სამშობლო», ამ მოკლე დროში დაარსებულნი იქმნებიან განსაკუთრებითი რჩევები, რომელთაც თვალყური უნდა ადევნონ ეკკლესიის ფუძებს და სტარობსტებს; ამ რჩევების წევრებად, როგორც წინადაც ვსწერდით ჩვენს გაზეთში, იქმნებიან სამრევლოსაგან აღმორჩეული ორი ან სამი პირი ადგილობრითი მღვდლის თავს-მჯდომარეობით. შოველივე ხარჯი ეკკლესიისა უნდა მოხდეს ამ რჩევების გადაწყვეტილებით.

* *

ამას წინადაც «სამეურნეო საზოგადოებამ» ამოიჩინა კომისია, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა, თუ რა გვარი სკოლა უფრო სასარგებლო იქნება იმერეთისათვის—ბალოსნობისა, თუ მებოსტნობისა; ამ კომისიის გადაწყვეტია, რომ იმერეთში დაარსებულ იქმნეს მეღერეთობის სკოლაო. მაგრამ როდის ან სად გაიხსნება ეს სკოლა, ჯერეთ გამოცხადებული არ არის.

* *

რუსული გაზეთი «სამშობლო» გვაუწყებს, რომ უწმიდესი სინოდის სოფლის სამღვდლოების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ნება მიუცია სამღვდლოებისათვის, რომ მან თვითოეულს ეპარქიაში დააარსოს დამხმარე საზოგადოებანი და შექმნას გელგამსესხებლნი კასებო.

* *

მუთაფისის გუბერნატორის უ. ბროსმანს შეუწყვეთია მხატვარის ბ. მიკოშინისათვის ქალაქ ბათუმის ეკკლესიის კანკელის გაკეთება.

* *

წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის ზედამხედველმა ქნმა ნიკთუროვისამ, რომელიც 18 წლის განმავლობაში დიდს მეცადინეობით და საქმის ცოდნით აღსრულებდა თავის მოვალეობას, ამ ხანებში დანება თავი ხსენებულ სასწავლებლის ზედამხედველობას. იმის შადგილედ ასახელებენ გრაფინია ტონოვნიცინას». («ივერია»).

ს ი ტ ვ ე ჯ ა

დღესასწაულსა ზედა ღირსისა დედისა ჩვენისა და მოციქულთა სწორისა ნინა ქართველთ განმანათლებელისა. 14 იანვრს 1887 წელსა, თქმული არქიმანდრიტის მაკარის მიერ.

«ეგრეთ ბრწყინვდინ ნათელი თქვენნი წინაშე ვაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქვენნი კეთილნი და აღიდებდენ მამასა თქვენსა ზეცათასა». (მათ. 5, 16).

ამ სიტყვებით მ.ჭმართა, მართლ-მადიდებელნი ქრისტიანნი, მსცხოვანნი ჩვენნი თვისთა მოციქულთა, რომელთაც ამზადებდა თავის შემდეგ მთელი ქვეყნის განმანათლებლებათ. ღვთაებრივი მოძღვარი ამით ამცნებდა თვისთა უპირველესთა მოწაფეთა, რომ მათ უნდა მოაქციონ ქვეყანა, რომ მათ უნდა განანათლონ კრნი არა მარტო სიტყვითა, ქადაგებითა, არამედ იგინი თავიანთი უოფე-ქვეყნით ღცხოვრებთ უნდა იყენენ მგაღითად, ნათლად «დახელებულთათვის», რათა ამა უკანასკნელთა იხილონ რა საქმენი მათნი კეთილნი, მათთანავე აღიდებდენ მამასა ჩვენსა ზეცათასა.

ღვთიურ-შემოკრებულნი ეწინო და ქრისტეს მორწმუნენო შეიღნო! ეს მცნება არა მარტო წმიდათა მოციქულთათვის იყო სავალდებულო, —იგი სხელ-მძღვ-



ნელა მტნება ჩვენთვისაც უკვლავ ქრისტიანისთვის; ამ მტნებით «მაცხოვარი და მხსნელი სოფლისა» თხრობებს ანა მარტო პირად სიმატლეს და სიწმიდეს თვითრეული ჩვენგანისას, — ანამედ უკვლავ ვაღდებულა თვისის ცხოვრებით შეიტანოს თავის მოყვასის ცხოვრებაში, შემდგომისა და გვაჩად, თვასი სხივი სიმატლესა, სიკეთისა და სიყვარულისა, — უკვლავ ჩვენგანი ვაღდებულა თავისი მატალითით და უოფა-ცხოვრებათ გზას უნათებდეს თავის მოყვასს «გზა აჩუღეს», უველანი დაკადკეთ იმ საერთო გზას, რომელიც მიგვიყვანს მამის ჩვენისა ზეცისადრი; აქ «შენ-ჩემობას», ქრისტიანება, ადგილი ანა აქვს: უკვლავს შრომა და წადილი მიმატრული უნდა იყვეს «საზოგადო» სიკეთისადმი, რომ უკვლავნი ღიკსი გახედეთ «შვილ-ღუთისა» უოფად და უკვლავს შეკვედლას «ერთითა პირითა და ერთითა გულისათა» მისი ღიღება და თაყვანის-ცემა.

